პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! ხუთშაბათი, 8 მაისი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 5 კაპ. ოქრ.

# წითელი მეომარი

№ 492 კ. წ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპა—ელის სტრიქონი
ნამცლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## არჩევნების შედეგები გერმანიაში.

გერმანიის რეიხსტაგის (პარლამენტი) არჩევნები დასრულდა. უკვე გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობები არჩევნების შედეგების: მანდატების საერთო რიცხვიდან (465), ნაციონალისტებმა მიიღეს 96 მანდატი, სოც.-დემოკ.—100 ცენტრის პარტიამ 62, კომუნისტურმა პარტიამ 61, სახალხო პარტიამ—45 და სხ.

გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში უდიდესი გამარჯვება ხვდა წილად კომუნისტურ პარტიას.

კომ. პარტიას ძველ პარლამენტში ქონდა 17 ადგილი, დღეს მან მიიღო 61 ადგილი. სოციალ-დემოკრატიამ 62 ადგილი დაკარგა. 162 ადგილის მაგივრათ, რომელიც მას ქონდა წინა პარლამენტში, მან მიიღო დღეს მხოლოდ 99 ადგილი. დიდათ გაძლიერდა აგრეთვე ნაციონალისტური პარტია. მიიღო 51 ადგილი. სახალხო პარტიამ, რომლის მეთაური დღეს შტრეზემანია, დიდი მარცხი იგემა. სხვა წვრილ დემოკრატიულ პარტიების მანდატები პარლამენტში უმნიშვნელოა.

ამგვარად ჩვენ გერმანიაში ვხედავთ ორი მოპირდაპირე ძალების ზრდას და გაძლიერებას. ერთი მხრივ ფაშისტები—ნაციონალისტები, მეორე მხრივ—კომუნისტური პარტია.

ეს გარემოება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. დღეს გერმანიაში ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს: მუშათა კლასი კომუნისტურ პარტიის მეთაურობით და მსხვილი, ბურჟუაზია და აგრარიები — ნაციონალისტურ პარტიის სახით. საშუალო ხაზი იქ არ არსებობს. დემოკრატიული, პარლამენტარული ბრძოლის დრო გავიდა. ეხლა დღის წესრიგში შეიარაღებული ძალაა დასმული. სწორეთ ამით აიხსნება შუა ხაზის მატარებელ პარტიების დამარცხება გერმანიაში.

გერმანიის კომპარტიის ეს გამარჯვება—უდიდესი გამარჯვებაა გერმანიის მუშათა კლასის. მუშების დიდი ნაწილი, რომლებიც დღემდის სოც.-დემოკრატიას მიყვებოდა, ჩამოშორდა მას და კომუნისტურ პარტიას მისცა ხმა, მაგრამ კონტრ-რევოლიუციონური, ფაშისტური გერმანიის სოციალ დემოკრატია ჯერ კიდევ ძლიერია. მას კიდევ მიყვება მუშების მცირე ნაწილი, თუმცა მისი ძლიერების მთავარი წყარო წვრილი ბურჟუაზია.

გერმანიის კომპარტიის მთელი ძალა უნდა იქნეს მიმართული იმ მუშების დასაპყრობათ, რომლებიც ჯერ კიდევ მიყვებიან სოციალ-დემოკრატებს.

ყველა კომუნისტურ პარტიებმა იციან რომ კაპიტალისტურ რეჟიმის დამხობა და მისი კომუნისტურ წესწყობილებით შეცვლა არ შეიძლება პარლამენტარული საშუალებით, პროლეტარიატი ძალა-უფლებას აიღებს მხოლოდ ბრძოლით, სამოქალაქო ომით. მაგრამ მორალური და პოლიტიკური გამარჯვება გერმანიის კომპარტიის დიდია. არჩევნებში კომპარტიის გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ ის გადაიქცა მასიურ პროლეტარულ პარტიად.

გერმანიის კომუნისტური პარტია მიდის სწორი გზით და ახლოა ის დრო, როდესაც გერმანელი ამხანაგები სავსებით დაიპყრობენ მუშებს და წაიყვანენ მათ გადამწყვეტ ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ.

## ამხ. ლენინის ანდერძი შესრულებული იქნება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში მოთავსებულია სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის შესახებ.

ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღიდანვე იწყება ბრძოლა მშრომელთა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, ამიერიდან კი ეს ბრძოლა ღებულობს მიზანშეწონილ ხასიათს.

მშრომელ მოსახლეობის უმეტესობის სიბნელე—ეს საშინელი მტერია საბჭოთა ხელისუფლების. წარმოუდგენელია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცება, გათვითცნობიერებულ და განვითარებულ მუშების და გლეხების გარეშე. საბჭოთა მთავრობა იმ თავითვე ღებულობდა ამის საწინააღმდეგო ზომებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის 50 პროც. მთავრობა ხარჯავდა სწავლა-განათლების საქმეზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით მიზნის მიღწევამდე შუა გზამდე არ მისულვართ. მთავრობა ორი გზით აწარმოებდა ბრძოლას: ერთის მხრივ სცდილობდა სასკოლო ქსელის გაფართოებით მშრომელთა შვილების უმეტესობისთვის მიეცა სწავლა-განათლება, და მეორეს მხრივ აწარმოებდა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლას, მოზრდილ თაობათა შორის. ხდებოდა ეს საღამოს კურსების, საკვირაო სკოლების, კლუბების თუ სხვა და სხვა წრეების საშუალებით.

ამ მხრივ ერთად-ერთ საუკეთესო დადებით შედეგებს იძლევა ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების მუშაობა, რომელსაც ის აწარმოებდა უსწავლელ წითელ არმიელთა შორის. მან მისცა სოფელს ჯარის რიგებში მიღებულ უსწავლელებისაგან წერა-კითხვის მცოდნეთა თითქმის ასი პროცენტი.

მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი.

საქართველოში არსებობს კუთხეები, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობა აღწევს 98 პროცენტს. ამის ამოსაფხვრელად მომავალში დიდი ენერგიის დახარჯვაა საჭირო. ამ სოციალურ უბედურებას ვერ სძლევს მარტო მთავრობა თავის ძალ ღონით. ამ საქმეში მასთან უნდა იყვეს ყველა დაინტერესებული ორგანიზაციები და წრეები. აქ კი უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს მასწავლებლობამ.

მთავრობის დღევანდელ ბრძანებაში ნათქვამია, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა ხდებოდეს მოსახლეობის 18—40 წლის ასაკამდე.

**სწავლის მიღება სავალდებულოა.** ეს ბრძოლა უნდა დასრულდეს საქართველოს გასაბჭოების მეათე წელს, ე. ი. 1931 წლის 25 თებერვალს. ამ გვარად თანახმად ამხ. ლენინის ანდერძისა, რომელიც დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა გამუდმებულად ამტკიცებდა ამ კამპანიის სიჩქარის აუცილებლობას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეათე წელზე არც ერთი უცოდინარი არ იქმნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. —თ.

# რადიო-დეპეშები

— ს. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენლობაში პოლიციის შეჭრის გამო ბერლინში გაიმართა მუშათა დემონსტრაციები ბერლინის მთავრობის წინააღმდეგ. დემონსტრაცია პოლიციამ გაფანტა.

— არგენტინაში გაიფიცა 100 ათასი მუშა.

— მოსკოვში მოხდა სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილების მეორე გამოშვება.

— რუმინეთის მთავრობის განკარგულებით ბესარაბიაში აიკრძალა რუსულ და უკრაინულ ენებზე ლაპარაკი და წერა.

— კუნძულ კუბაზე გრძელდება სისხლის მღვრელი შეტაკებები აჯანყებულთა და მთავრობის ჯარებს შორის.

## საბჭოთა კავშირი.

### პრესის დღე მოსკოვში.

5 მაისს, საღამოს, დიდ თეატრში მოხდა საზეიმო სხდომა მ. კ. რ. კ. პ. პარტიულ გაზეთების რედაქციებთან ერთად. სხდომას დაესწრნენ პრესის მომუშავეთა მოსკოვის ბიურო, მუშკორები, სამხკორები, კედლის გაზეთების ხელმძღვანელნი და პარტიაში ახლად შესული მუშები, სხდომა გახსნა მ. კ. მდივანმა ამხ. ბუმაჟნიმ, რომელმაც წინადადება მისცა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ლენინ ს ხსოვნისათვის. პრეზიდიუმში არჩეულია ამხ. ამხ. ტროცკი, კალინინი, კამენევი, ზინოვიევი, რიკოვი, სტალინი, კრუპსკაია—ულიანოვა, ბუხარინი, მოლოტოვი, იაროსლავსკი და სხ.

### პირველი მუშკორი.

ამხ. ზინოვიევი თავის მოხსენებაში მიუთითებს, რომ პირველი მუშკორი იყო ვლადიმერ ილიჩი. გაზ „ისკრის" დაარსებიდან, რომელიც პირველი ორგანო იყო რუსეთის ბოლშევიზმისა, ლენინი ამ გაზეთს დიდ იმედს ამყარებდა, როგორც ძირითად—ცენტრს, რომლის გარშემო თავს მოიყრიდენ პარტიის წევრები და შეუდგებოდენ რევოლიუციონურ რუსეთის შენებას.

### მუშკორის მოვალეობა.

მუშკორების საკითხი ძირითადი და მთავარი საკითხთაგანია პარტიულ აღმშენებლობაში. მუშკორი—ეს პარტიული ნამდვილი დემოკრატიაა. ჩვენი ამოცანაა—ხელი შეუწყოთ და სწორ გზაზე გამოვიყვანოთ ცოდნის შეძენით აღჭურვილნი სწყვლანი რომ არ დაიღუპოს მათი ნიჭი,—ამ საბჭოთა ლომონოსოვებისა.

### საერთაშორისო მდგომარეობა.

**კომპარტია იპყრობს დასავლეთს.**

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამხ. ზინოვიევი ამბობს: „ჩვენ არჩევნების შედეგების წინაშე ვდგევართ ევროპაში. გერმანიის კომპარტიის რეიხსტაგში 17 ადგილი ქონდა. ეხლანდელ არჩევნებში, როგორც ცნობებია, კომუნისტებს აქვთ 54 ადგილი და მიუღიათ $3^1/_2$ მილიონი ხმა. ეს დიდი გამარჯვებაა. სოციალ-დემოკრატებმა 162 მანდატიდან მიიღეს მხოლოდ 99, დაკარგეს რამოდენიმე მილიონი ხმა. ს. დ. ხმა მისცეს წვრილმა ბურჟუაზიამ, მოხელეებმა და მოსამსახურეებმა; კომუნისტებს—მუშებმა.

მიუხედავად გერმანიაში საშინელი ტერორისა, კომპარტია იქ ხდება მაინც მასიური და სოც-დემოკრატიის მონოპოლიის კისერს მოუგრეხს. თუ ასეთი გამარჯვება საფრანგეთშიც ხვდა კომუნისტებს— ეს იქნება ახალი, დიდი გამარჯვება.

იტალიაში, მიუხედავათ მუსოლინის ტერორისა, კომუნისტებმა მიიღეს იმდენი ხმა, რამდენიც მაქსიმალისტებმა.

კარპატის რუსში კომუნისტებმა მიიღეს ხმების უმრავლესობა; ამნაირად ირკვევა, რომ კარპატის მუშები და გლეხები თანაუგრძნობენ კომუნისტებს.

ნელ-ნელა კომუნისტებს დასავლეთის გლეხობა მისდევენ და ახლოა ის დრო, როდესაც კომინტერნი იტყვის, რომ ილიჩის ძირითადი ამოცანები შესრულებულია.

**სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ ინციდენტის შესახებ ბერლინში.**

ამხ. ზინოვიევი ამბობს: „ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წარმომადგენლობის ბინაზე აღმოაჩენდენ მუშების და გლეხების მიმართ მოწოდებებს და აგრეთვე იარაღებს. მაგრამ იქ ამის მზგავსი არაფერი იყო. სავაჭრო წარმომადგენლობა ცდილობდა ევაჭრა და არა შეიარაღებინა მუშები.

სავაჭრო წარმომადგენლობა არსებობს იმისათვის, რომ ივაჭროს და სარგებლობა მოუტანოს ს.ს.ს.რ. და აღამაღლოს მისი მეურნე. მომხდარი ინციდენტი სამწუხაროა, მაგრამ ეს მაინც ვერ გაგვთიშავს გერმანიის ხალხთან, რადგან ჩვენი კავშირი მათთან ძლიერ დიდია.

**პარტიული პრესის ამოცანები.**

დასასრულ ამხ. ზინოვიევი ჩერდება პარტიული პრესის და მუშკორების ამოცანებზე. „ჩვენმა პრესამ უნდა შეიტანოს თავისი სხივი ყოველ მუშის სახლში, ყოველ მუშის ოჯახში,—უნდა გახდეს ძლიერი იარაღათ კომუნისტების აღსაზრდელად.

**ცეცხლი ლენინგრადის სახალხო სახლში.**

ლენინგრადის სახალხო სახლში გაჩნდა დიდი ცეცხლი. ცეცხლი ძლიერდება. ცეცხლის ჩასაქრობად მოქმედობს 10 ცეცხლის ჩამქრობი რაზმი.

**მანუფაქტურა ამიერ კავკასიისათვის.**

საგარეო საქმეთა ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა მოხსენება ამიერ კავკასიის მანუფაქტურით უზრუნველყოფის შესახებ. აპრილის განმავლობაში გაიგზავნა ამიერ კავკასიაში 38 ვაგონი მანუფაქტურა მაისისათვის გამზადებული გადმოსაგზავნათ 45 ვაგონი. მანუფაქტურის ეს რაოდენობა სრულიად დააკმაყოფილებს ამიერ კავკასიის მოთხოვნილებას. ამიერ კავკასიის შინაგან ვაჭრობათა კომისარიატის მიერ დადგენილი 6 პროც. ზედნადები სრულიად რუსეთის საქსოვ

სინდიკატის ფასებზე, კოლეგიამ დაადგინა გაადიდოს 90 პროც.

თათბირმა არა საკმარისად სცნო განაპირა ქვეყნებისათვის 2 ნახევარი თვით სესხათ გაცემა და მაინდო სავაჭრო პოლიტიკის სამმართველოს რათა უკანასკნელმა გამოიმუშაოს დამატებითი ვადა ბანკის საშვალებით სესხის გაცემაში, მანუფაქტურის რეალიზაციის შესახებ განაპირა ქვეყნებში და აღიძრას სათანადო შუამდგომლობა.

**სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილების გამოშვება.**

5 მაისს მოხდა წითელი არმიის სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილების მეორე გამოშვება, გამოშვებული იქნა 22 მსმენელი და მათ შორის 2 ქალი. საზეიმო სხდომას დაესწრო საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი, კლარა ცეტკინი, რადეკი და სხვები. ჩიჩერინი, რომელსაც შეხვდენ დიდი ოვაციებით, ესალმება კურს დამთავრებულებს საგარეო საქმეთა კომისარიატის სახით და იმედს გამოსთქვამს, რომ აკადემია დამთავრებულები თავისი მუშაობით ს. ს. რ. კავშირის განაპირა ქვეყნებში და დიპლომატიურ ასპარეზზე იდგომებიან დასახულ ამოცანის სიმაღლეზე, რომელსაც ისტორია სვამს მათ წინაშე, წავიდენ აღმოსავლეთისაკენ ლენინის იდეალებთან ერთად.

**საჰაერო ხაზი სევასტოპოლი—იალტა—ევპატორია.**

დობროფლოტის გამგეობის წევრი გუდკოვი იუწყება, რომ 1 ივნისიდან დაიწყება მუშაობა საჰაერო ხაზით სევასტოპოლი—იალტა—ევპატორია, რომელიც დასაწყისი იქნება დიდი საჰაერო—საზღვაო მიმოსვლისა ოდესა—სევასტოპოლი—ნოვოროსიისკი—ბათომი. დობროფლოტი ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებს უკრაინის „ვოზდუხო პუტთან“ და ამიერკავკასიის „ზაკავიასთან“.

ვშირებული სხვა და სხვა ორგანოებთან როგორც მაგალითად. პ. განყოფილებასთან, არმიის პარტკომისიასთან, ს. ც. საკ. კომისიასთან, დივ. რევტრიბუნალთან, განსაკ. განყოფილებასთან და სხვა.

**პარტკომისიის შემადგენლობა.**

პარტკომისიის შემადგენლობა მისაღები იყო, მხოლოთ ხელს გვიშლიდა მუშაობაში ის გარემოება რომ ყველა წევრები პ. კომისიის პასუხისმგებელი ამხანაგებია და უდროობა საშვალებას არ აძლევდა მუშაობისას: აგრეთვე პ. კომისიას არ ყავდა ტეხნიკური მომუშავეთა შტატი. ეს ყოველივე გავლენას ახდენდა პ. კომისიის მუშაობაზე. შემდეგისთვის აუცილებლათ უნდა იქმნეს შედგენილი ტეხნიკური მუშების შტატი და კომისიის წევრთა გადიდება 5 კაცამდე.

**მომავალში.**

უნდა გადისინჯოს ჩვენი პარტ. რიგები, შეივსოს იგი პროლეტარული ელემენტებით, მუშათა უმრავლესობის გადიდებით. მით უმეტეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პარტ. ამხანაგების აღმზრდელობითი მუშაობას.

მომხსენებელს ეკითხებიან არის თუ არა ჩვენ სამხედრო პარტ. ამხანაგებში შემჩნეული ბიუროკრატიზმი?

მომხსენებელი უარყოფით უპასუხებს.

ამხ. კობიძე შენიშნავს მომხსენებელს რომ აღმზრდელობითი მუშაობას პ. კომისიის დიდი ნაკლი აქვს, ეს სჩანს მისი მოხსენებისაგან რაიც უნდა იქმნეს გამოსწორებული.

შემდეგ მომხსენებელს მოყავს შემდეგი ცხრილი: პარტიიდან გამოურიცხავთ წლის განმავლობაში 70 კაცი. მათში სრულიათ 61. დროებით 9. მიღებულია პარტიაში 202. მათში მუშები 34. გლეხები 124. ინტელიგენტები და სხვა 44. გაწმენდის დროს დამტკიცებულია 65.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რაც პ-კომისიის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლათ.

(გაგრძელება იქნება)

გო—ცი

# სამხედრო კორესპონდენტების და მკითხველების საყურადღებოდ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე ჯორჯიაშვილის ქუჩა, სახლი № 8. („ჩონი“-ს ბინა)

# დადგენილება № 15

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.**

რათა რესპუბლიკაში მცხოვრებ მოზრდილ თაობას საშუალება მიეცეს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა, საქართველოს სოც, საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის ის მოზრდილი თაობა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის—წლოვანებით 18—40 წლამდე, ვალდებულია შეისწავლოს წერა-კითხვა დედა ენაზედ ან სახელმწიფო-ქართულ ენაზედ სურვილისამებრ. წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის მოხდება რესპუბლიკის პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმით.

**შენიშვნა:** პირველი მუხლი გავრცელდება წითელ-არმიელებზედაც მხოლოდ მუშაობა მათ შორის წარმოებულ უნდა იქნეს არმიის პოლიტიკური განყოფილების უახლოეს მონაწილეობით.

2. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია რესპუბლიკის მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის დასრულებულ უნდა იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათის წლის თავზე ე. ი. 1931 წლის თებერვლის 25-ს.

3. მცხოვრებთა მოზრდილი თაობის შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციამ, როგორიც არიან მაგალითად: პროფესიონალური კავშირები, პარტიული ადგილობრივი ორგანიზაციები და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულება.

4. მოზრდილთა სკოლებისათვის პოლიტიკური განათლების ორგანოებს უფლება აქვთ გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო სკოლათა შენობები, აგრეთვე სახალხო სახლები, კლუბები და ფაბრიკა-ქარხნებისა, საბჭოთა დაწესებულებების შენობა და სხვა შესაფერი სადგომი.

5. საჭირო მოზრდილთა სკოლების ფინანსიურად უზრუნველსაყოფად (მასწავლებელთა ჯამაგირი, სახელმძღვანელოები და სხვა) გაღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს მიერ განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

6. გეგმის შემუშავება ამა დადგენილების სისწორით განხორციელებისათვის დაეკისრება პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ალ. ლოლობერიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: **ლ. სალარიძე**

1924 წ. მაისის 5.

თბილისი—სასახლე.

# ქ. მ. დივიზიის მესამე პარტიული კონფერენცია.

**ამხ. თენგიზ ელენტის მოხსენება პ.-განყოფილების მუშაობის შესახებ.**

**საინფ.-სტატისტიკური მუშაობა.**

1923 წ. საინფორმაციო სტატისტიკური მუშაობა ცუდ პირობებში მიმდინარეობდა, ნაწილების მხრივ არ იყო მიქცეული ამაზედ სათანადო ყურადღება. და ასეთმა მდგომარეობამ გავლენა იქონია ჩვენს მუშაობაზე, რაც ხელს გვიშლიდა ანგარიშების შედგენაში დივიზიის მაშტაბით. ინფორმაციას რა თქმა უნდა თავისი განსაკუთრებული ამოცანები აქვს და ამ ამოცანებს ეს დარგი 1923 წელში ვერ ამართლებდა. ამის ერთ უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ხშირი ცვლა განყოფილების უფროსის. ეს დეფექტები უფრო გამოსწორდა 1923 წლის მიწურულში. 1923 წელში იწყება უკვე გეგმის მიხედვით მუშაობა, რის ზეგავლენით ნაწილებშიც გამოსწორდა მუშაობა. სტატისტიკური ცნობების შესახებ უნდა ითქვას რომ 23 წელში თითქმის ეს საქმე ფერხდებოდა, 24 წელში ეს დეფექტიც გამოკეთდა.

მოკლეთ საინფორმაციო სტატისტიკურ მუშაობაში ეხლაც არის დეფექტები, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ შედარებით წარსულ წელზე 80 პროც. უკეთესი მდგომარეობაა. საერთო ხაზი პოლიტ განყოფილების იყო სწორი, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამბობს მომხსენებელი, რომ იყო დეფექტებიც. ჩვენს მუშაობას გაუკეთებს ჯაის ჩვენი კონფერენცია და მოგვცემს ახალ დირექტივებს მომავალ მუშაობისათვის.

შეკითხვების გარშემო იმართება კამათი, შეკითხვები უმთავრესად შეეხება სათანადო სამხედრო პარტიულ ლიტერატურის ქართულ ენაზე უქონლობას, პოლიტ-განყოფილების ორგანოს, „წითელ არმიელის“ გაზის და მის უარყოფით და დადებით მხარეებს.

საბოლოო სიტყვაში მოხსენების გარშემო ლაპარაკობს ამხ. კვირიკაძე, რომელიც მიუდგომლად არკვევს პოლიტ-განყოფილების მუშაობის ავკარგიანობას. მიღებული რეზოლიუცია უჩვენებს მუშაობის ახალ ხაზს. ხაზგასმით აღნიშნულია უმთავრესად ადგილები რევტრიბუნალის გადახალისების და განყოფილებასთან კავშირის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ.

**ამხ. მამულაიშვილის მოხსენება დივიზიის პარტ-კომისიის მუშაობის შესახებ.**

ამხანაგებო! ყველა ჩვენთაგანისთვის ცხადია, რომ პარტკომისია გასულ წელს ჩაბმული იყო გამწმენდ კომისიის მუშაობაში, ვინაიდგან მორიგ ამოცანებში ეს მუშაობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად დიდი მუშაობისა გამწმენდ კომისიას კიდევ შემოეპარა ჩვენს რიგებში არა სასურველი ელემენტები და აი სწორედ პარტ-კომისიამ დაისახა მიზნათ ოთხი ძირითადი პრინციპი.

1. გაწმენდა ჩვენი რიგების. 2. შევსება ჩვენი პარტ-რიგების საიმედო და სასურველ ელემენტებით. 3. აღზრდა და გაწვრთნა პარტ-ამხანაგების როგორც ზნეობრივად, ისე პოლიტიკურად და 4. ბრძოლა ზედმეტ ფლანგვასთან და მუშაობა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

ჩვენი რიგების გაწმენდის საქმეში პარტ-კომისიამ საკმაო ზომები მიიღო დაკვირვებული და სწორი თვალსაზრისით, რასაც დაგვანახებს ქვემოდ მოყვანილი ცხრილი. პარტიის შევსების დროს პარტ-კომისია ხელმძღვანელობდა სწორი ხაზით. ჩვენ ვაქცევდით მეტ ყურადღებას მუშებსა და ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს. აგრეთვე გლეხებს, ვინაიდგან ჩვენ რიგებში უმრავლესობა გლეხობა იყრიდა თავს. აღმზრდელობითი საქმეში იყო მიღებული ზომები, რომელიც მიზან მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

**ბრძოლა ზედმეტ ხარჯვა ფუფუნებასთან.**

ჩვენს ნაწილებში, ამბობს მომხსენებელი, არ აქვს გამწვავებული ხასიათი აღნიშნულ მოვლენას. მაგრამ ნაწილობრივ ის მაინც მოიპოვება, რომლის წინააღმდეგ პარტ კომისიამ მიიღო შესაფერი ზომები.

**მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.**

ეს საკითხი ჩვენს დარგში არ ვრცელდებოდა, მომავალში კი საჭიროა აქაც პ. კომისიამ გამოიჩინოს აქტიობა.

**პარტ კომისიის დამოკიდებულება სხვა და სხვა ორგანოებთან.**

პ. კომისია მჭიდროთ არის შეკა-

# რაიკომების მუშაობა სოფლად.

ადგილებზე მომუშავე ჩვენს საბჭოთა ორგანოებს როგორც გავს კიდევ ვერ შეუგნიათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა და ზოგჯერ მათ მიერ გაცემული საბუთები უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ცენტრალურ ორგანოებს და არ იციან თუ როგორ მოიქცნენ და ვის დაუჯერონ. ასეთი მაგალითები აუარება შეიძლება მოვიყვანოთ.

მაგრამ აქ მე დავასახელებ მხოლოდ ერთს.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ქ. დ. სამხედრო ტრიბუნალში გაირჩა საქმე მოქალაქე დუნდუასი, რომელსაც ბრალად ედებოდა შვებულებიდან თავის დროზედ დაუბრუნებლობა. მოქ. დუნდუა აგვიანებს თოთხმეტ დღეს, რის გამოც ეძლევა პასუხისგებაში, როგორც დეზერტირი.

ამის შემდეგ დუნდუა აძლევს პატაკს ლეგიონის სამხკომს, სადაც აღნიშნავს თავის დაგვიანების მიზეზს. მიზეზი კი შემდეგი ყოფილა. სოფელში ყოფნის დროს მას სახლი გადაუტანია სხვა ადგილზედ და სანამ არ მოუთავებია სახლის საქმეები მანამ ვერ გამომგზავრებულა. სულ ეს ყოფილა მისი დაგვიანების მიზეზი. აღნიშნულ პატაკზედ ლეგიონი თხოულობს დასტურს ადგილობრივ აღმასკომიდან თანახმად მოქ. დუნდუას თხოვნისა. გადის ხანი და ლეგიონს მოსდის შემდეგი ცნობა: ექიმის მოწმობა აღმასკომის დასტურით სადაც აღნიშნულია, რომ მოქ. დუნდუას მამა პირველ მარტიდან ფილტვების ანთებით იყო ავათ და ამიტომ მან ვერ მიატოვა ოჯახიო, თან დასძენენ, თითქოს 17—18 მარტს ამდგარიყვეს ავადმყოფილოგინიდან.

რომელს უნდა დაუჯერო ამ შემთხვევაში მოქ. დუნდუას პატაკს თუ ექიმ ნანეიშვილის მოწმობას, რომელსაც ადასტურებს სამტრედიის აღმასკომი სამი კაცის თანდასწრებით. ჩემის ღრმა რწმენით უფრო სიმართლეს შეიცავს დუნდუას პატაკი, რომელიც დასწერა ლეგიონში მისვლისას და მამის ავადმყოფობაზედ კი არაფერს ამბობს პატაკში. მეორე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოქ. დუნდუა არ არის უსწავლელი. მას 7 კლასი აქვს გათავებული და კიდევ აგრძელებს სწავლას. ასეთ შეგნებულ პირს არ შეეძლო გაეშვა მხედველობიდან ისეთი მომენტი, როგორიც არის მამის ფილტვების ანთებით ავადმყოფობა და არ მოეხსენია ის თავის პატაკში.

მე ძლიერ მიკვირს აღმასკომისაგან დაშვებული შეცდომა. მაგრამ უთუოდ აღმასკომი ენდო სამი კაცის დასტურს, როგორც ეს არის აღნიშნული მომართვაში და ექიმის მოწმობას და ამიტომ დაადასტურა აღნიშნული მოწმობა.

ქ. დივიზიის ტრიბუნალმა ეს მოვლენა არ გაუშვა მხედველობიდან და პასუხს მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს.

კიდევ ერთი შემთხვევა: ერთ-ერთი აღმასკომიდან გაცემული იყო მოწმობა სადაც აღმასკომი ადასტურებდა ბეჭედის დასმით „დეზერტირის“ ავადმყოფობას. ასეთ მოვლენას ვინ იცის რამდენჯერ ჰქონდა ადგილი და აქვს ეხლაც. მაგრამ ეს მათი მოქმედება უსათუოდ უნდა მიეწეროს საქმის არ ცოდნას და მათ გამოუცდელობას; ამიტომ საჭიროა შინაგან საქმეთა კომისარიატმა განუმარტოს ყველა მაზრებს და რაიკომებს ინსტრუქციის საშვალებით და ინსტრუქტორების დახმარებით ყველა წვრილმანი და დიდი საქმეების წარმოების მნიშვნელობა და შემდეგში არც ისინი დაუშვებენ შეცდომებს. ასეთია მდგომარეობა და დარწმუნებული ვარ შინაგან საქმეთა კომისარიატი მიიღებს ზომებს ამ საქმის მოსაგვარებლად.

ს. ლ.



## ჩვენს ასეულში.

ამა წლის 17 აპრილს შესდგა ქართ. გაერთ. სამხედრო სკოლის მე-3 ასეულის კურსანტების და უფშემადგენლობის საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ნამგალაძე, მდივნობდა ამხ. ჩხაიძე. სხვათა შორის დასმულ იქმნა საკითხი, „ლენის ამბების შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ახალაშვილმა თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ყურაშვილი.

მომხსენებლებმა ვრცლად და მდაბიო ენით გააშუქა აღნიშნული საკითხი. რის შემდეგ გამოტანილი იქმნა სათანადო რეზოლიუცია.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

სამხკორი: ავაქოვი.

## დივლაზარეთი.

4 მაისი. დივლაზარეთის კულტმომუშავეები ფაცი-ფუცობენ. ემზადებიან რათა გაისტუმრონ უვადო შვებულებაში მიმავალი წ. არმიელები. არმიელები შველის ნუკრებივით დარბიან სიმღერა ცეკვით. ნაწილს კი თავი მოუყრია ლენინის კუთხესთან და ბაასობდენ დიდ ლენინზე. ერთმა არმიელმა დაარღვია ნელი ფუსფუსი და გაიშვირა ხელი სცენისაკენ: ჩვენს სოფელში უსათუოთ უნდა მოვაწყოთ თეატრი.

ამ საქმეს ჩასვლის უმალ უნდა ჩაუყაროთ მკვიდრი საფუძველი, წარმოსთქვა მან.

უსათუოთ, უსათუოთ ამხანაგო, თეატრი ეს სარკეა ჩვენი ცხოვრების. ჩვენ მხოლოდ კლუბმა და სცენამ აგვიხილა თვალი დაგვანახვა ცხოვრების ავ-კარგი.

საათის 7-ის ჩამოკრა ზარმა, შემოდის ამ დღისათვის საგანგებოთ მოწვეული კულტ-შეფი. მოკლე სიტყვის შემდეგ დადგა შესაფერისი პიესა. შემდეგ მოეწყო დივერტისმენტი. ღამის 12 საათზე ფრიად ნასიამოვნები არმიელები ემშვიდობებიან კულტ-შეფს და უხდიან მხურვალე მადლობას.

მადლობა ჩვენ კულტ-შეფს.

ო. ლაშხიძელელი

## ბავშთა დილა რუსთაველის თეატრში.

პირველ მაისს რუსთაველის თეატრში წ. ჯარის ცენტრალურ კლუბის მიერ გამართულ იქნა ბავშთა დილა, რომელსაც დაესწრენ წითელ არმიელთა და მოქალაქეთა ბავშვები.

სრულ 12 საათზე ბავშვთა საპირველმაისო დილას ქართული წითელი ჯარების პოლიტ-განყოფილების სახელით ხსნის ამხ. ქურასპედიანი. ამავე პოლიტ-განყოფილების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გოგიტო ციმბირელმა.

მან განუმარტა ბავშვებს მათთვის პირველი მაისის მნიშვნელობა.

შემდეგ დადგმულ იქნა წარმოდგენა თვით ბავშვების მონაწილეობით, რომელიც საუცხოვო გამოსურათხატებას იძლეოდა გაზაფხულით ზამთარს შესვლისას. საერთოდ ბავშვებს მომზადება ეტყობოდათ, რომელშიდაც დიდი ენერგია აქვს დახარჯული მე-12-ე შრომის სკოლის მ სწავლებელ ქალს ტატიშვილს. საყურადღებოა ისიც, რომ ბოლო მოქმედებათ დადგმულ იქნა 10 წლის მოწაფის მიერ დაწერილი პიესა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

სრულ 3 საათზე კმაყოფილი ბავშვები კისკის-სიცილით რიგ-რიგობით დაიშალენ თავიანთ ბინებისკენ.

ჯანსულ ფანი.

## რაზედ გვწერენ.

ლეგიონში არსებულ სამხედრო კოოპერატივის დუქნიდან ყოველთვის ჯამაგირის ანგარიშში სარგებლობს ნისიით ლეგიონის უფ პოლიტწითელ-არმიელთა შემადგენლობა, მაგრამ საუბედუროდ ერთი რამ დანაკლისი აქვს კოოპერატივს. მაგალითად:

აპრილის თვეში 15 რიცხვიდან გაცემული საქონლის ფასი თითქმის 20—25% ძვირია ვიდრე გამოცემული ფასი პირველ საჭიროებ. ს საგნეზე, რომელიც იყო გამოცხადებული ა. წ. 27 აპრილის გაზეთ „წითელ არმიელში" აგრეთვე კოოპერატივმა ნება დართო წაეღოთ ნისიათ არა პირველ საჭიროების საგნები, როგორც ღვინო, რომელიც საწყობში ღირს 43 კ. და ანგარიშობენ 50 კაპ. იმედია ყველა ზემო ხსენებულებს მიაქცევს ევკოგრუზის გამგეობა ყურადღებას და ყოველი კაპეიკის მნიშვნელობა, ისეთაც მცირე ჯამაგირებზე, რომელიც აქვს უფ-პოლიტ-შემადგენლობას იქნება გათვალისწინებული.

„წკრიალა".

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

მომხმარებელმა კოოპერაციამ ფართოდ გაშალა მუშაობა: ქალაქებში და სოფლად ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მუშკოპებს, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ყოველივე, რაც მას სჭირდება.

მაგრამ კოოპერაციის იდეა მომხმარებელ ამხანაგობების დაარსებით კი არ უნდა ამოიწუროს, ის მწარმოებელიც უნდა იყოს.

საქართველო, როგორც სამეურნეო ქვეყანა წარმოშობს სამეურნეო წარმოებითი ამხანაგობებს და მათ დიდი მომავალი აქვთ.

ამ საუბარში მე მინდა შევეხო კერძოთ მესაქონლეობას.

ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი ქვეყანა, სადაც საწარმოვო შესაძლებლობანი მესაქონლეობაში იმ რიგ იყოს განვითარებული როგორც საქართველოში.

მდიდარი მთის საძოვრები რომლის გამოყენება მხოლოდ მეწველ საქონლით არის მიზანშეწონილი უმეტესად მუშა და ხორცის მიმართულების საქონლით არის გადავსებული.

არა ნორმალურად საქმის წაყვანა ძირითადი უბედურებაა ჩვენი მესაქონლეობისა.

მაღალ ხარისხოვანი საძოვრები, რომლის ბადალი მხოლოდ შვეიცარიაში მოიპოვება გადატვირთული უნდა იყოს მეწველ საქონლით, რადგან რძის ნაწარმოებისთანა ადვილი გასასაღებელი ხორცი არასოდეს არ იქნება. მუშა საქონელი კი სად მეურნეობის წესის დროს მთელი წელიწადი მუშაობას არ უნდა მოსცდეს.

ჩვენში დამზადებული კარაქი და ყველი, (შვეიცარული) კონკურენტს ვერ ჰპოვებს რუსეთის და საზღვარგარეთულ ბაზარზე.

ყველის დამზადება თხოულობს საქმის ცოდნას, სპეციალურ შენობებს, მანქანებს, ფულს, რითაც ჩვენი მეურნე ძლიერ ღარიბია.

რაშია ხსნა,—ხსნა მხოლოდ ამხანაგობის დაარსებაშია.

როგორ შეუძლია ჩვენებურ მეურნეს თავის 20—30 გირვანქა რძისათვის გააშენოს სარდაფები, შეიძინოს მანქანები, შეისწავლოს ყველის და კარაქის დამზადება?

მეურნეს კარგათ უნდა ახსოვდეს რომ ძალა ერთობაშია. მან მეზობელს ხელი უნდა გაუწოდოს და ხელი შეუწყოს ამხანაგობის დაარსებას.

ამხანაგობის დაარსებისათვის უნდა მიმართოდ წარმოკავშირს, რომელიც მოგცემთ ინსტრუქციებს, კრედიტს და გაგიწევთ ყოველ გვარ დახმარებას.

ამხანაგომა კრედიტის საშუალებით და საწევრო გადასახადებიდან შემდგარ თანხით შეიძენს მანქანებს, შენობას, დაიქირავებს მცოდნე პირს, გადაამუშავებს მთელი სოფლის რძეს და ბაზარზე გაიტანს მაღალ ხარისხოვან ნაწარმოებს.

ამხანაგობას გადამუშავების გარდა შეუძლია იკისროს მეურნის სხვა და სხვა ნაწარმოების ორგანიზაციული გასაღება; მაგალითად ხორცის, კვერცხის, ფრინველის და სხვა.

აგრეთვე ამხანაგობა თავის წევრებისათვის იქნება კულტურული ცენტრი, სადაც შეუძლია მიიღოს დარიგება თავის საქონლის კვებამოვლის შესახებ.

ამხანაგობას შეუძლია იქონიოს დუქანი, სადაც მეურნეს შეუძლია იაფ ფასებში შეიძინოს თესლი, სამეურნეო იარაღი და სხვა.

ცოცხალი მაგალითია დანია. ამ პატარა სახელმწიფოს ამ ჟამად ანგლისის შემდეგ მეორე ადგილი უკავია თავის კოოპერაციაში, კოოპერაციების რიცხვის მიხედვით.

იქ გლეხი ყოველივეს, კოოპერატივს აბარებს და რაც მას დასჭირდება მხოლოდ კოოპერატივიდან გამოიტანს, რადგან მან შეიგნო რომ ძალა კავშირშია.

თუ 50 წლის წინად დანიის გლეხი ჩვენი გლეხივით ღარიბი იყო, ამ ჟამად ის ყველაზე მდიდარ გლეხათ ითვლება ევროპაში.

მაშ მხარი დაუჭიროთ ამხანაგობის დაარსებას, ამით ჩვენ ავაცდენთ სოფელს ჩარჩ-ვაჭრების კლანჭებს და ავაყვავებთ ჩვენი კუთხის მეურნეობას.

ზ-ლი.

## ევკოგრუზის ქუთაისის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში.

მთლიანი სამხედრო კოოპერატივს ქუთაისის განყოფილებამ თავის საორგანიზაციო მუშაობაში თითქმის ორი წლის წარმოების შემდეგ მიიღო შემდეგი სახე: მას აქვს 1). ერთი უნივერსალური მაღაზია, 2) საბაკალეიო მაღაზია № 2, 3) ახლად შეძენილი სინდიკატიდან გამზადებულ ტანისამოსის მაღაზია № 3, 4) ბაზრის მოედანზე იაფფასიანი მანუფაქტურის გასაყიდი კიოსკი, 5) სასადილო უფ-პოლიტ და ადმინშემადგენლობისათვის, 6) საბაკალეიო კიოსკი სასწორთან, 7) ექვსი დესიატინა საბოსტნო ბაღი. მიუხედავათ ბაზრის მერყეობისა და ვალიუტაზე სპეკულიაციისა ჩვენ მტკიცე ვალიუტის დამყარებამდე ჩამოვაყალიბეთ მტკიცე ფასები საქონელზე. მიზან შეწონილ ენერგიულ მუშაობით მოვიყვანეთ ჩვენი ორგანიზაცია დღემდე იმ სახით, როგორც ესაჭიროება ყოველივე კოოპერაციას. გარდა პირდაპირ დანიშნულებისა ჩვენ ვშველოდით მშრომელ მასას, სამხედრო პირებს და საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებს იმ სახით, რომ უნახავდით ბონებს, რათა უკანასკნელს არ დაკარგოდა ღირებულება და ეს შემნახველი კასის ფუნქციები მტკიცე ვალიუტის დამყარებისას უნდა ჩაითვალოს დამთავრებულათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენ საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ცეკავშირის ქუთაისის განყოფილება.

მტკიცე ვალიუტის დამყარების შემდეგ ჩვენ რამოდენიმე საქონელს დაუკლეთ ფასები 30 პროც. და რომგაგვეწია მეტოქეობა ვაჭრებთან თავნზე და ქვეითაც ვაწარმოებდით ვაჭრობას, ამ დროიდანვე ჩვენ წევრებს ვაძლევდით 10 პროც. დათმობით ხოლო დანარჩენ მყიდველებს უთმობდით 5 პროც. ვინაიდან კურსის განსხვავებაზე კოოპერატივი ზარალს არ ნახულობდა.

ჩვენ ვაძლევდით სესხათ სამი თვის ვადით ფართალს და სხვა საგნებს სამხედრო პირთ და თითქმის საბჭოთა დაწესებულების ყველა თანამშრომლებს, მაგრამ დღეს გარდა წითელ ჯარისა მოკლებული ვართ საშუალებას განვაგრძოთ სესხაც გაცემა საქონლისა იმ მიზეზით, რომ კოოპერატივში საქონელი მცირეა და ტრესტებთ დღემდი არ გვაძლევს საქონელს სამი თვის კრედიტით, მაშინ როდესაც მათ გასცენ საქონელი დიდ ვადიან კრედიტით ქუთაისის ეპო-ზე და რუსულ სამხედრო კოოპერაციაზე. ჩვენ გვჭირდება კოოპერატივის საორგანიზაციო და საოპერაციო მუშაობისათვის სესხი ფულად და ამის მაგიერ იძულებული ვხდებით დავაგირაოთ საქონელი, რომ მივიღოთ საჭირო თანხები კოოპერატივის საქმეების საჭიროებისათვის. ჩვენის აზრით, სესხი საქონლის დაგირავებით ბევრად მავნებელია კოოპერატივის საქმის წინამსვლელობისათვის და მისი აღორძინებისათვის. კოოპერაციას უნდა დაეხმაროს ყველა დაწესებულება, ბანკია იგი თუ სხვა ამ გვარი დაწესებულება. უნდა იყოს სულის ჩამდგმელი და უახლოვესი მონაწილეობა უნდა მიიღოს კოოპერაციის აყვავება—გამტკიცებაში ამასთანავე. მან უნდა შეამციროს საქალაქო ხარჯები და სახლების ქირაც ჩამოაკლოს 50 პროც.

ქუთაისის განყოფილების გამგეობა სცდილობდა რაც შეიძლება საქონლის გასაიაფებლად შეემცირებინა სამნე-საგზაო და სხვა ადმინისტრატიული ზედნადები ხარჯები და შეძლების დაგვარათ ამცირებდა მინიმუმამდე თავის მოსამსახურეთა შტატს, საქმის მსვლელობისათვის უვნებლად.

კოოპერატივის საქმეების ნაყოფიერი მსვლელობა აიხსნება კონტაქტიური მუშაობით გამგეობის და თანამშრომელთა შორის. ჩვენი თანამშრომელნი ანგარიშს უწევენ საერთო საქმეს და არ ზოგავენ ენერგიას ნაყოფიერების გასადიდებლად.

ბოლოში ვიტყოდით, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი ქსელი გავაბათ კოოპერატივებისა, რათა შევძლოთ თუ დღეს ვაკმაყოფილებთ ფართო მასას 75% მოთხოვნილებისა, რომ შემდეგში ჩვენ ვიყოთ მომხმარებელნი ფართო მასის 100 პროცენტით.

ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე: ქარქაშაძე.

## რედაქციისაგან.

ვინაიდან ჩვენი გაზეთის № 490-ში მოთავსებულ პოლიტ-განყოფილების ცირკულიარში (შესახებ ახალ წვეულთა განაწილებისა) გაგვეპარა კორექტორული შეცდომა- ამიტომ სახელმძღვანელოდ მისაღებია მხოლოდ 7 მაისის, № 491-ში მოთავსებული ცირკულიარი № 79.

# ახალი ამბები.

—**ავადმყოფობათა ინსტიტუტი.** ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო გადაკეთებულ იქნა პროფესიონალურ ავადმყოფობათა ინსტიტუტათ.

— **საზღვარგარედ მივლინება.** საზღვარ გარედ მივლინებულ იქნა ექ. კანდელაკი მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდების შესასწავლათ.

—**ქონების გადაცემა.** ქალ. ალმასკომის დადგენილებით ნორიის თემში ყოფ. მემამულე არჯევანიძისეული მამული გადაეცა ადგილობრივ გლეხთა კომიტეტს.

—**სახერხი ქარხნები.** ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრონულ სადგურის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა, რათა ყველა სახერხი ქარხნები გადატანილ იქნეს ზემო ავჭალაში.

—**შუამდგომლობის აღძრა.** პროლეტ. სტუდენტობის ბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მათ მიერ აღებული ბაღი „არტო“ განთავისუფლებულ იქნეს საიჯარო გადასახადიდან.

—**სკოლების შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათლების განყოფილება პირველ რიგში შეუდგეს სკოლების შეკეთებას ერწოს რაიონში.

— **სამრეწველო წარმოებები.** საქ. სახკომსაბჭომ მიიღო გეგმა დადგენილებისა საქართველოს ფარგლებში სამრეწველო წარმოებების გახსნის შესახებ.

—**მუშების გაგზავნა აგარაკებზე.** დამზღვევმა კასამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა მოაგვაროს მუშების აგარაკებზე გაგზავნის საკითხი.

— **ფარმაცევტების ყრილობა.** ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ ფარმაცევტების თათბირი მოწვეული იქნება 10 მაისისათვის.

—**სამუშაოზე გაგზავნა.** 6 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 45 უმუშევარი, მოთხოვნილება იყო 47-ს. ახლად ჩაეწერა ასი კაცი.

— **ლეჩხუმში.** განზრახულია ჩატარებულ იქნას ლეჩხუმში ბოლშევიკური გამოსვლების 7 წლის თავის დღესასწაული. საკითხის დაწვრილებით გამორკვევა მიენდო სამაზრო პარტკომს.

— **ჯანმრთელობის საქმე.** ლეჩხუმის მაზრაში არსებობს ექვსი ხაექიმო უბანი. სამ რაიონს განაგებენ ექიმები, ხოლო დანარჩენს ფერშლები.

— **ტელეფონების ქსელი.** ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა მიეცეს ლეჩხუმის მაზრას საჭირო მასალა ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **თეატრი ქუთაისში.** ქუთაისის თეატრში სეზონი დასრულდება ა. წ. მაისს 10-ს.

— **ქალთა ჟურნალი.** გამოვიდა ქალთა ჟურნალ „ჩვენი გზის“ მორიგი ნომერი.

— **ვერის მუშათა კლუბი.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა აღებულ იქნეს წყნეთის და კიაზის კუთხეში დარაბები და იქ მოეწყოს მუშათა კლუბი.

## ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ.

3 მაისს საოპერო თეატრში გაიმართა ფიზიკური კულტურის საღამო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მგონი ეს პირველად ეწყობა ასეთი საღამო. სამწუხაროა, რომ საქართველოში ასეთი კარგი ძალებია და დღემდისაც ვერ მოხერხდა მათი ამ ხალხს მეტად ესაჭიროება და ის დიდ ნაყოფსაც გამოიღებდა თავის დროზე რომ ხელი მოეკიდათ ამ საქმისათვის სათანადო ორგანოებს, მით უმეტეს თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი ხალხის ბუნებრივ ლტოლვას ვარჯიშობისადმი.

ყოველს შემთხვევაში სპარტაკის საღამომ ამ მხრივ დასაწყისი მისცა საქმეს და ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ასეთი საღამოები სისტემატიურად იქნება მოწყობილი შემდეგშიაც და ის მიიღებს ერთგვარი ტრადიციის ხასიათს.

საღამოს პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. აქ წარმოდგენილ იქმნა თითქმის ყველა სახე სპორტისა რაც კი შესაძლებელია ნაჩვენები იქმნას სცენაზე ზოგიერთის გამოკლებით. მაგ. რგოლები და ტაიჭი აღნიშნულ საღამოზე არ იქნა ნაჩვენები.

პირველ ნაწილში თავისუფალი ვარჯიშის (ბავშთა) ელემენტარული სახეები იქმნა ნაჩვენები. ინსტრუქტორი ეგნატაშვილის განცხადებით აღნიშნული ჯგუფი სულ რამდენიმე თვის ნავარჯიშევი ყოფილა, რაც მეტად მცირე ხანია საჯარო გამოსვლისათვის. აქ ნაჩვენებ ვარჯიშთა ელემენტების მნიშვნელობის განმარტებას იძლეოდა ერთ-ერთი ინსტრუქტორთაგანი (მგონი უმაღლესი ფიზიკური საბჭოს წევრი) რუსულად და ისიც გერმანელი ნაციერლი აქცენტით, რის გამო ბევრი მისი განმარტება გაუგებარი ხდებოდა, ხოლო ამისდაპიხედვით ქართველი თარჯიმანიც მოიკოჭლებდა.

მშვენივრად იქნა შესრულებული თავისუფალი ვარჯიში 65 შრომის სკოლის ქალ-ვაჟთა მიერ და მათმა ინსტრუქტორმაც სამართლიანად დაიმსახურა ოვაციები.

აგრეთვე ლამაზი იყო პირველი სპარტაკის ბავშვთა თავისუფალი ვარჯიში. ამ ჯგუფის ვარჯიშში საინტერესო იყო ბალეტის ელემენტები (გოგონათა ნახევარ ჯგუფისა).

მიუხედავად ტეხნიკური მოუხერხებლობისა სცენაზე მაინც გამოინავარდა ველოსიპედისტთა ჯგუფმა (ვანო სტეროვას სახელობის). მათაც აჩვენეს დამსწრეთ რამდენიმე ლამაზი ნომრები.

იარაღებიდან დადგმულ იქნა ორძელი და ღერძი ორივე ძნელი დარგი იარაღებისა საზოგადოთ. აქ სულ ახალი მოვარჯიშენი, უმთავრესად კომკავშირის წევრები იყვნენ გამოსულნი, აქა იქ ერივნენ ძველძველი ინსტრუქტორებიც. არ შეიძლება ითქვას, საზოგადოთ რომ ეს იარაღი დამაკმაყოფილებლად ქონდეს ამ ჯგუფს დაძლეული, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში მომზადების მცირე ვადას, მაშინ მათი მიღწევანი საკმაოდ უნდა ჩაითვალონ.

სუსტათ იქნა წარმოდგენილი მუშათა ფაკულტეტის ჯგუფი. თუმცა მათ ერია ისეთი კარგი მოვარჯიშე როგორიცაა მ. მიქაბერიძე, მაგრამ მათმა ჯგუფმა მაინც მკრთალი შთაბეჭდილება დასტოვა.

მეტი ეფექტი მოახდინა სპარტაკის ჯგუფმა ღერძზე ვარჯიშით, აქ ხშირად ვირტუოზული მომენტებიც იყო. მძლეოსნობაში აღსანიშნავია სიმძიმეზე მოვარჯიშენი და კრივი (ბოქსი). აქ ყველაზე უფრო მკვეთრი ფიგურა იყო კარგად ცნობილი სპორტსმენი ჰინჰარაძე. მისი განვითარებული კუნთები პირდაპირ იზიდავდა მაყურებელთ. ლამაზი იყო კრივი მისსა და მისსავე მოწაფეს შორის.

საზოგადოთ საღამო მრავალ ფეროვანი იყო და სასურველია ასეთი გამოსვლები უფრო სისტემატიურად იქნას მოწყობილი, ხოლო უფრო მოხერხებულს ადგილას კი. მაგალითად მე-21-რე სამხედრო სკოლის ეზოში, საცა ფართო საზოგადოებასაც საშუალება ექნება დასწრების რაც საუკეთესო პროპაგანდაც იქნება ამავე დროს ფიზიკური კულტურის იდეებისა.

კ —

## ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

### ᲮᲑᲝᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

საფურე ხბო უნდა დასტოვოთ მხოლოდ ჯანმრთელ და უხვად რძის მომცემ ძროხიდან.

გარდა ამისა უნდა გაიგოთ ბუღის ჯანმრთელობა და რამდენათ ის უხვად რძის მომცემ ძროხიდან არის წარმოშობილი; იყო თუ არა შეპყრობილი ისეთი ავადმყოფობით, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას.

ბუღა და ძროხა, თანაბარ პირობებში, ერთნაირად გადასცემენ თავის თვისებებს შთამომავლობას, რისთვისაც ორთავეს ჯანმრთელობას და მერმე მიმართულებას ერთნაირად უნდა მიექცეს ყურადღება.

ვინიცობაა არჩევანია შემოდგომის ზამთრის და გაზაფხულის ხბორებში, დაიტოვეთ ზამთრის ხბორები, რადგან უფრო მხნე და გამძლენი გამოდიან, თანაც ძუძუდან მოშორების დროსთვის, ნორჩი ბალახი ბლომათ მოიპოვება საძოვრებზე.

როდესაც ზრდით მუშა ან ხორცის მიმართულებით საქონელს, საუკეთესოა, ხბო იზრდებოდეს დედის ქვეშ, რადგან ხბოს მუდამ აქვს ბლომათ სუფთა, თბილი რძე.

მეწველ საქონლის აღზრდის დროს ხბო უნდა მოაცილოთ დედას, რადგან მეწველ ძროხას ყოველთვის უფუჭებს ძუძუს, სწოვს იმის მეტ რძეს რაც საკმარისია მის განვითარებისათვის, რითიც ტყუილად იხარჯება რძე, —სუქდება და მერმე მუშა მიმართულების მაგიერ იძენს ხორცის მიმართულების საქონლის თვისებებს.

მეწველ საქონლის ხბო უნდა იზრდებოდეს დედის გარეშე და ხელიდან უნდა გამოკვებოთ.

ქართული ძროხა არ იძლევა რძეს უხბოროთ მეორე მესამე მოგების შემდეგ, რისთვისაც მას უნდა შეაჩვიოთ უხბოროთ წველა პირველ მოგებისთანავე.

მოგების დროს დააფარეთ ძროხის თვალებზე ტილო, ხბო არ შეახედინოთ ისე მოაცილეთ, გაიყვანეთ სხვა ბინაში, გაამშრალეთ და ცალკე აღზარდეთ.

2—3 დღის შემდეგ ძროხა ვერ იცნობს თავის ხბოს და ახლოს კი არ მიუშვებს.

მთის საქონელი ძლიერ ადვილად ურიგდება ხბოს მოცილებას 2—3 მოგების შემდეგ და ამ მხრივ მთიულ საქონელში მუშაობა ძლიერ ადვილია.

საფურე ხბოს რძე უნდა ეძლეოდეს 3-ჯერ დღეში $^1/_6$—$^1/_7$ თავის ცოცხალ წონისა, საბუღეს $^1/_5$—$^1/_6$.

2—3 თვის, შემდეგ მოხდილ რძეს ასმევთ; დაბადების 5—6 თვის შემდეგ ქატოთი და მწვანე ბალახით გამოკვებოთ.

რძის სმას ხბო ადვილად ეჩვევა; რძეში პირველ ორ სამ დღეს ჩაყოფთ ხელს ხბო ეცემა, თითს დაუწყებს ლოკვას, თანაც რძესაც სვამს; შემდეგში უთითოთაც კარგათ სვამს.

რძე 26—29 გრადუსამდე უნდა შეათბოთ და ისე აჭამოთ პირველ 2—3 თვეში 3-ჯერ დღეში შემდეგ 2-ჯერ.

რძის სასმელი ჭურჭელი მუდამ სუფთად შეინახეთ, რადგან უსუფთაობით ხბოს შეიძლება კუჭი აეშალოს.

ჩვილი ხბო მოათავსეთ მშრალ თბილ და განიერ ბინაში.

განიერ ბინაში ხბო ცელქობს, ხტის, მას უმაგრდება მკედრი, ფილტვები, ფეხები და უფრო ჯანსაღი გამოდის ვიდრე ვიწრო ბინაში მომწყვდეული.

ზ—ლი.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

### ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

(გაგრძელება)

შტეინახის ცდების მთელი რიგი მიმდინარეობდა ამ მიმართულებით. შემდეგ ის გადავიდა ამავე ხერხით თავისი ვირთაგვების სიცოცხლის გახანგრძლივებაზე და ამნაირად გამართა ფრონტი მოხუცებულობის წინაამდეგ. როგორც ცნობილია ვირთაგვები, დიდხანს ვერ ცხოვრობენ შედარებით და იშვიათად თუ რომელიმე მათგანი იცოცხლებს 28-30 თვემდე. ამ ხნის ბოლოში ვირთაგვები დაჩაჩანაკდებიან, ტილიანდებიან და თითქმის ეკარგებათ მოძრაობის უნარი.

შტეინახმა ბებერ ვირთაგვას გადაუსვა ახალგაზრდის სასქესო ჯირკვალი. განვლო რამოდენიმე ხანმა და მოხუცებულ ვირთაგვაში დიდი ცვლილება მოხდა. ის გამოცოცხლდა. სიბერისაგან ჩაცვივნული თვალები გაუცქრიალდა, თმა გაუსწორდა და გამკვირცხლდა. თუ აქამდე დაკარგული ჰქონდა სქესობრივი მოთხოვნილების უნარი, ეხლა ძალიან ფხიზელი შეიქნა. 15 წუთის განმავლობაში ცხრამეტჯერ შედის სქესობრივ ურთიერთობაში. გაახალგაზრდოვების შედეგები ყოველთვის დამაკმაყოფილებელი იყო როდესაც კი არ სცადა შტეინახმა ეს თავის ვირთაგვებზე. მაგრამ ჩვენთვის ხომ ადამიანის გაახალგაზრდავებას უფრო დიდი შესანიშნავია შტეინახმა თავის ვირთაგვებზე გაკეთებული ცდები ეხლა ადამიანებზე გადაიტანა. მაგრამ აქ ერთი გარემოება შეიქნა მეტად ძნელი მოსაწესრიგებელი. ადამიანიდან ადამიანზე სასქესო ჯირკვლების გადატანა არ არის ადვილი საქმე, რადგან ძნელად თუ ვინმე და რომელიმე ახალგაზრდა დასთანხმდება თავისი სასქესო ჯირკვალი ვინმეს დაუთმოს. საჭირო შეიქნა სხვანაირი გზით წასვლა ამ მიზნისაკენ, სულ სხვა საშვალების გამოძებნა. შტეინახმა ამიტომ გადასწყვიტა თვით მოხუცებულის სასქესო ჯირკვალი გამოეყენებია ამ მიზნისათვის.

ცნობილია რომ მამაკაცის თესლი მზადდება სასქესო ჯირკვალში და იქიდან ერთგვარი მილით მიდის სასქესო ორგანოში შტეინახმა სცადა ამ თესლის გამტარებელ მილის გაუქმება, შეკვრა. თესლი მაშასადამე ველარ გამოდის გარეთ. სწორედ ეს ხერხი შესანიშნავი საშვალება შეიქნა, რომ გაახალგაზრდავება ჩვეულებრივ წესიერად ჩატარებულ იყო მოხუცებულ ვირთაგვაში.

გაახალგაზრდავებას ახალი საშვალება შტეინახმა მოიხმარა ადამიანზედაც, რამაც ძლიერ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. შტეინახის ასისტენტპროფესორმა 26 შემთხვევაზე მეტი მოახდინა გაახალგაზრდავების ცდები და თითქმის ყველამ დამაკმაყოფილებელი ნაყოფი მოიტანა. აი ერთი მაგალითთაგანი, რომელიც გამოაქვეყნა შტეინახის ასისტენტმა ლიხტენშტერნმა. ეს მოხდა 70 წლის მოხუც მამაკაცზე, რომელიც ხელმძღვანელობდა საკმაოდ მსხვილ სავაჭრო წამოწყებას. მოხუცი დაწვა საავადმყოფოში სასქესო ჯირკვლებით ავადმყოფობის გამო. აქიმობის დროს ლიხტენშტერმა გაუუქმა აგრეთვე თესლის გამტარებელი მილი. 9 თვის შემდეგ მორჩენილმა მოხუცმა გამოუგზავნა პროფესორს შემდეგი შინაარსის წერილი:

**შეიხ.**

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ.

ქართულ დივიზიის პარტ-კომისიაში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს: 1. ანთელიძე გიორგი გრიგოლის-ძე, 2. ნიკურაძე იაკინთე სიმონის-ძე, 3. დმონიკოვი ზაქარია არტემის-ძე, 4. რიონიშვილი ივანე ნესტორის-ძე, 5. ლეშქაშელი ონისიმე იოსების-ძე, 6. რომანოვი ნიკოლოზ ლავრენტის-ძე, 7. კალკოვი სურენ ამბარცუმის-ძე 8. ქორჩილავა სპირიდონ კაციას-ძე 9. ლორია ილია ივანეს-ძე, 10. დარჩია ილია არტემის-ძე, 11. ჩაჩავა შალვა სოლომონის-ძე, 12. აბაშიძე დავითი ალექსანდრეს-ძე, 13. სუბატაშვილი აპოლონ თეოფილეს-ძე, 14. მახარაძე გალაქტიონ იულიანეს-ძე, 15. ლორთქიფანიძე ალექსანდრე ერმილეს-ძე, 16. ბურჭულაძე დიმიტრი სამუელის-ძე, 17. რევიშვილი პლატონი კოსტას ძე, 18. ხარაბაძე ალექსანდრე ვასილის-ძე, 19. გოგობერიძე სერგო ფარნაოზის-ძე, 20. ქოქაშვილი გიორგი ანდრიას-ძე, 21. ბითაძე არხიპო სიმონის-ძე, 22. შულიშვილი შაქრო პავლეს-ძე, 23. კვანტალიანი ნოე თომას-ძე, 24. დიმიტრაშვილი იაკობ სიმონის-ძე, 25. რიჟამაძე შალვა დავითის-ძე, 26. ხიდურელი ალექსანდრე ლევანის-ძე, 27. ბიბილეშვილი აპოლონ პლატონის-ძე, 28. ბითაძე გიორგი სიმონის-ძე, 29, სახეჩიძე ანდრო სიმონის-ძე, 30. ჭყონია პეტრე ნიკოლოზის ძე, 31. ლეკვიშვილი შოთა ივანეს-ძე, 32. ჯანაშია ივანე ანდრიას-ძე, 33. მსხილაძე ალექსანდრე სოლომონის-ძე, 34. ჯანჯღავა იულიანე ლუარსაბის-ძე, 35. ბიბილური გიორგი კონსტანტინეს-ძე, 36. ტყებუჩავა იოსები ნიკოლოზის-ძე, 37. ხუნწარია კირილე ნესტორის-ძე (ყველანი მეორე ქართულ ლეგიონიდან).

ქართულ დივიზიის პარტკომისია გთხოვთ თუ ვინმემ იცით რაიმე მათ საწინააღმდეგოდ უარყოფითი პარტიაში მიღების შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერათ პარტ-კომისიაში.

**მისამართი:** რუსთაველის პროსპ. ყოფ. კადეტის კორპუსის შენობა, ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილება. —პარტკომისია.

ქ. მ. დ. **პარტკომისია.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი: ჩანტლაძე.